ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის

მოვალეობის შემსრულებლის თამაზ ჯინჭარაძის

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

განკარგულების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ" შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" შესაბამისად.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54 – ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის გამგებელი უფლებამოსილია საკრებულოს თანხმობით მიიღოს გადაწყვეტილება კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ; სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნებაში მონაწილეობისა და მათში გაწევრების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" ამოქმედების შემდეგ, აუცილებელი გახდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი ბექა შენგელია.

მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე

გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი: *თამაზ ჯინჭარაძე*

პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის 1 პუნქტის ,,დ.ბ" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი"-ს (ს/კ 441993336) წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და წესდება ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (დანართი 1).
2. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,კურორტი ბახმარო"-ს (ს/კ441993648) წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და წესდება ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (დანართი 2).
3. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი"-ს (ს/კ 242008821) წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და წესდება ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (დანართი3).
4. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური ,,სხივი"-ს (ს/კ 242008796) წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და წესდება ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (დანართი 4).

5. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,კულტურის ცენტრი“-ს (ს/კ242008803) წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და წესდება ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (დანართი 5).
6. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,კომპლექსური სასპორტო სკოლის“ (ს/კ242008279) წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და წესდება ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (დანართი 6).
7. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4
8. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა – ბექა შენგელიამ

დანართი 1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა" და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" საფუძველზე, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი –სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სააღმზრდელო–საგანმანათლებლო პროგრამებს, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის გარეშე.
2. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე.
3. მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებაში და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
4. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი საკუთარი სახელით ახორციელებს თავის უფლებებსა და მოვალეობებს, ამყარებს საქმიან კონტაქტებს როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით შეუძლია გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში.
5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის დამფუძნებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი.
6. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის იურიდიული მისამართია: დაბა ჩოხატაური, ნოდარ დუმბაძის ქუჩა №58.
7.მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ელექტრონული ფოსტა: **moswavleaxalgazrdobissaxli@mail.ru**

მუხლი 2. მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლის მიზანი, ფუნქციები და ამოცანები

1. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მისიაა განათლების უწყვეტ სისტემაში, მუდმივი ზრუნვა მოსწავლე – ახალგაზრდობის პროფესიულ ზრდაზე, წინაპირობების შექმნა – აირჩიოს მომავალი განვითარების გზა. თავისი საქმიანობიდან გამომდინარე მოსწავლე –ახალგაზრდობის სახლი ემყარება ჰუმანიზმის, დემოკრატიულობის, ტოლერანტობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებს.
2. მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის მიზანია:
ა) მოსწავლე-ახალგაზრდობა აზიაროს ეროვნულ, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ხელოვნების საფუძვლებს, ხელი შეუწყოს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროგრამების ათვისებას, სკოლისგარეშე თავისუფალი დროის სწორ ორგანიზებას, მოზარდთა მეცნიერული კვლევა-ძიების უნარ-ჩვევების, კრიტიკული აზროვნების

ჩამოყალიბება-განვითარებას, ინდივიდუალური, შემოქმედებითი პოტენციალის, ფიზიკური შესაძლებლობებისა და ასაკთან შესაფერისი ინტერესების გამოვლენას;
ბ) შექმნას მოსწავლეებისათვის შესაბამისი სასწავლო და ესთეტიკური გარემო პირობები კონკურენტუნარიანი, პატრიოტი, ანალიტიკურად მოაზროვნე, საკუთარი შესაძლებლობების მუდმივად განვითარების შემძლე, მოტივირებული, კანონმორჩილი და ტოლერანტი, მიზანზე ორიენტირებული აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბებისთვის;
გ) გააცნოს და შეაყვაროს მოსწავლეებს ქართული და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები;
დ) გამოუმუშაოს მოსწავლეებს მზაობა საკუთარი შესაძლებლობების ადეკვატურად გამოყენებისათვის;
ე) სოციალურად დაუცველი და უნარშეზღუდული ბავშვების სააღმზრდელო–საგანმანათლებლო პროგრამებში აქტიური ჩართვა და მონაწილეობა.
3. მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის ამოცანაა:
ა) მოსწავლეების თავისუფალი დროის სწორი ორგანიზება;

ბ) პრაქტიკული, მხატვრული აქტივობების განვითარება, მეცნიერული კვლევა-ძიების უნარ-ჩვევათა განვითარება;

გ) სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების დანერგვა ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით;
დ) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი თავისი დანიშნულებიდან გამომდინარე აყალიბებს უფასო (ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსება) და ფასიან (საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები) წრეებს, სტუდიებს, ანსამბლებს, ინტერესთა კლუბებს.

ე) უზრუნველყოფს მოსწავლეთა კულტურულ–მასობრივ ღონისძიებებს, შემოქმედებით კონფერენციებს, კონკურსებს, აწყობს მოსწავლეთა დებატებს, გამოფენებს, შეხვედრებს.
4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

მუხლი 3. სასწავლო პროცესის ორგანიზაცია

1. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში სასწავლო პროცესის ორგანიზაცია, სწავლების შინაარსი და ხანგრძლივობა, სწავლის შედეგებისა და მიღწევების შეფასება, განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული ეროვნული სასწავლო გეგმის და სასწავლო პროგრამის გათვალისწინებით.
2. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში სწავლის უფლებით სარგებლობენ 6 დან 18 წლამდე ასაკის მოსწავლე-ახალგაზრდები.
3. სასწავლო პროცესის ორგანიზების ფორმებია: ინდივიდუალური, ჯგუფური, საწრეო, საკლუბო და შემოქმედებითი ხასიათის მეცადინეობები.
4. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის წრეებში მოსწავლეთა გაერთიანება ხდება მათი ინტერესებისა და შესაძლებელობების გათვალისწინებით წინასწარი გასაუბრების შედეგად.

წრეებში გაერთიანებულ მოსწავლეთა რაოდენობას, მისაღებ კონტიგენტს განსაზღვრავს მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლის დირექტორი.
5. იმ შემთხვევაში, თუ მისაღებ კონტიგენტს აღემატება სწავლის მსურველთა რაოდენობა, ტარდება შესარჩევი კონკურსი განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
6. ცალკეულ შემთხვევაში, გამონაკლისის სახით, დასაშვებია როგორც უფროსი, ასევე უმცროსი ასაკის მოსწავლეთა ჩარიცხვა შინაგანაწესით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
7. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მოსწავლეთა მიღება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.
8. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს უფლება აქვს განახორციელოს ფასიანი მომსახურება ნებისმიერი ასაკის მსურველთათვის (სწავლების შესაბამისი პროგრამით).
9. ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოვლენისა და კონტროლის ფორმებია: მიმდინარე საწრეო საკლუბო მეცადინეობები, ღია კარის დღეები, თემატური ღონისძიებები, პრეზენტაციები, გამოფენები, კონკურსები.
10. შესაბამისი სწავლების დასრულებისას მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი გასცემს შესაბამისი საფეხურის დასრულების დამადასტურებელ ცნობას.

მუხლი 4.მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის სტრუქტურა და მართვა:

1. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სტრუქტურული ერთეულებია: მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის წრეები, საკლუბო გაერთიანებები, ანსამბლები.
2. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს მართავს დირექტორი და პედაგოგიური საბჭო.
3. პედაგოგიურ საბჭოს შემადგენლობაში შედის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ყველა წრის, კლუბის, ანსამბლის ხელმძღვანელი პირი.
4. პედაგოგიურ საბჭოს ხელმძღვანელობს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი. პედაგოგიური საბჭო:
ა) განიხილავს და ამტკიცებს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შინაგანაწესს;
ბ) შეარჩევს მოსწავლეებთან აღმზრდელობითი მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს;
გ) დირექტორთან ერთად შეიმუშავებს წლიურ სასწავლო გეგმებს;
დ) ისმენს დირექტორის ანგარიშს. იხილავს სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, საწრეო სასწავლო გეგმებში ცვლილებების შეტანისა და სასწავლო შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.
5. პედაგოგიური საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს დირექტორი და საბჭოს მდივანი.
6. მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის დირექტორი:
ა) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი.
ბ) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი წარმართავს და ორგანიზებას უწევს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საერთო საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე, წარმოადგენს დაწესებულებას მესამე პირთან ურთიერთობაში;
გ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით ამტკიცებს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საშტატო განრიგს და ხელფასის ფონდს;
დ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს ყველა ინსტანციაში, გასცემს მინდობილობებს, დებს გარიგებებს;

ე) კანონით დადგენილი წესით განაგებს და განკარგავს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ქონებასა და სახსრებს. მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე;
ვ) პედაგოგიურ საბჭოსთან ერთად გეგმავს და წარმართავს საგანმანათლებლო- -აღმზრდელობით პროცესს;
ზ) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის თანამშრომლებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;
თ) უზრუნველყოფს შრომით ხელშეკრულების დადებას მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის თანამშრომლებსა და საჭიროებისამებრ, დროებით მოწვეულ სპეციალისტებთან.
ი) იღებს გადაწყვეტილებებს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;
კ) განსაზღვრავს პედაგოგთა დატვირთვისა და სახელფასო ანაზღაურების ოდენობას;
ლ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს, წყვეტს მოსწავლეების სკოლაში ჩარიცხვისა და გარიცხვის საკითხს.
მ)პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით განსაზღვრავს მისაღებ კონტიგენტს;
ნ) შეიმუშავებს და ამტკიცებს სახლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო გეგმებს;
ო) მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ პროექტს, რომელსაც წინასწარ ათანხმებს პედაგოგიურ საბჭოსთან;
პ) მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით განსაზღვრავს ფასიანი სწავლების შემოღების საკითხსა და გადასახადის ოდენობას.
ჟ) უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგებლის სამართლებრივი აქტებით, ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას.

7. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით დირექტორის მოვალეობას ასრულებს მოსწავლე-ახლაგაზრდობის სახლის ერთ-ერთი თანამშრომელი.
8. მოსწავლე -ახალგაზრდობის სახლის პედაგოგებისა და დამხმარე პერსონალის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება შინაგანაწესით.

მუხლი 5. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ქონება, დაფინანსება, ანგარიშგება

1. დასახული მიზნისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ გადაეცემა შესაბამისი ქონება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის დაფინანსების წყაროებია:
ა) შესაბამისი (ადგილობრივი) ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
ბ) ფასიანი სწავლებიდან მიღებული სახსრები;

გ) სახელმწიფოს შეკვეთების შესრულებიდან მიღებული შემოსავალი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სახსრები კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიზნებისა და ფუნქციების

განხორციელებას. აღნიშნული სახსრების სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია.

4. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი.

5. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას ამოწმებს გამგეობის შიდა აუდიტის სამსახური მუნიციპალიტეტის გამგებლის დავალებით.

6. გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია გამგებელმა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა შეამოწმოს მოწვეული აუდიტორის მეშვეობით.

მუხლი 6. საქმიანობა რომელიც საჭიროებს თანხმობას.

1. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს შეუძლია მუნიციპალიტეტის გამგებლის თანხმობით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:
ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;
ბ) სესხის აღება;
გ) თავდებობა;
დ) სხვა გადაწყვეტილებები სახლის ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 7. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის კონტროლი

1. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის კონტროლი გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტურობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

2. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის კონტროლს ახორციელებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო (შესაბამისი კომისიების მეშვეობით) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით" დადგენილი წესის შესაბამისად.

3. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის გამგებლის წინაშე.

4.მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილია გაასაჩივროს მაკონტროლებელი ორგანოს უკანონო მოქმედება.

მუხლი 8. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. მოსწავლე ახალგაზრდობის **რეორგანიზაციას ან ლიკვიდაციას ახორციელებს გამგებელი საკრებულოს თანხმობით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

2. ლიკვიდაცია შეიძლება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

3. ლიკვიდაციის შემთხვევაში მის ბალანსზე არსებული ქონების განკარგვა მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

მუხლი 9. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის წესდებაში ცვლილების დამატების შეტანის წესი

1. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ, საკრებულოს თანხმობით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

დანართი 2

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის „კურორტი ბახმაროს"

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის „კურორტი ბახმარო" (შემდგომში დაწესებულება) - არის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-სა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილი არასამეწარმეო (არაკომეციული) იურიდიული პირი.

2.დაწესებულების საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და წინამდებარე წესდება.

3.დაწესებულებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ხარჯთა ნუსხა, მრგვალი ბეჭედი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებაში და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

4.დაწესებულება კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საკუთარი სახელით იძენს ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებს, კისრულობს მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ, აგრეთვე მესამე პირებთან ურთიერთობაში.

5.დაწესებულების დამფუძნებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი.

6.დაწესებულებში საქმიანობა მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

7.დაწესებულების იურიდიული მისამართია ნ. დუმბაძის ქ. №2

8.დაწესებულების ელექტრონული ფოსტა: **kurortibakhmaro@gmail.com**

მუხლი 2. დაწესებულების მიზანი, ამოცანები და ფუნქციები

1.დაწესებულება თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.დაწესებულების მიზანია კურორტ ბახმაროს ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა-პატონობა, შემეცნებითი, გასართობი და სპორტული დანიშნულების ობიექტების შექმნა, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

3. დაწესებულების ამოცანები და ფუნქციებია:

ა)მოსახლეობის გაჯანსაღების, დასვენების, კულტურული, სამედიცინო და კომუნალური მომსახურების ეფექტური პირობების უზრუნველყოფა;

ბ)საკურორტო ინფრასტუქტურის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა;

გ)დამსვენებელთა კონტიგენტისათვის დასვენებისა და ტურიზმის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პირობების შექმნა;

დ)კურორტის ტერიტორიის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა;

ე)კურორტის ტერიტორიის კეთილმოწყობის, საქუჩო განათებისა და წყალმომარაგების სისტემის მოვლა-პატრონობის ხელშეწყობა;

ვ)კურორტის სარეკრიაციო და სანიტარული ზონების დაცვის შესახებ კანონმდებლობის დაცვის ხელშეწყობა;

ზ)ინდივიდუალური სააგარაკო სახლებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

მუხლი 3. სტრუქტურა და მართვა.

1. დაწესებულებას სტრუქტურა:

ა) ადმინისტრაცია (დირექტორი, ბუღალტერი);

ბ) დირექტორის მოადგილე.

გ) ინჟინერი

დ) მთავარი სპეციალისტი;

ე) მოწვეული სპეციალისტები.

2.დაწესებულებას მართავს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

3. დაწესებულების დირექტორი:

ა) პასუხისმგებელია დაწესებულების საქმიანობაზე. მოქმედებს დაწესებულების სახელით და სპეციალური მინდობილობის გარეშე წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში გასცემს მინდობილობებს, დებს ხელშეკრულებებსა და გარიგებებს;

გ) პასუხისმგებელია დაწესებულების ქონების, მათ შორის ფულადი სახსრების მიზნობრივ ხარჯვასა და გამოყენებაზე;

დ) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დაწესებულების თანამშრომლებს. „საქართველოს შრომის კოდექსით" დადგენილი წესით აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს თანამშრომლებთან და საჭიროებისამებრ, დროებით მოწვეულ სპეციალისტებთან;

ე) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით ამტკიცებს დაწესებულების საშტატო განრიგს და ხელფასის ფონდს;

ვ) ამტკიცებს დაწესებულების შინაგანაწესს;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს (ბრძანებებს);

თ) ახორციელებს კანონმდებლობითა და ამ წესდებით გათვალისწინებულ ნებადართულ სხვა საქმიანობას.

მუხლი 4. დაწესებულების ქონება

დაწესებულებას თავისი მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად გააჩნია ქონება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. დაწესებულების ფინანსური სახსრები

1. დაწესებულების ფინანსური სახსრებია:

ა) ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული მომსახურებიდან მიღებული სახსრები;

გ) დამხმარე სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;

დ) გრანტისა და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავალი;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი.

2.ზემოთ აღნიშნული ფინანსური სახსრები გამოიყენება მხოლოდ დაწესებულების წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისთვის.

მუხლი 6. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1.დაწესებულებას მუნიციპალიტეტის გამგებლის თანხმობით შეუძლია განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება, დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა.

დ)დაწესებულებასთან დაკავშირებით სხვა გადაწყვეტილებები, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 7. საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგება

1.საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაწესებულება ვალდებულია აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი.

2.დაწესებულების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას ამოწმებს გამგეობის შიდა აუდიტის სამსახური მუნიციპალიტეტის გამგებლის დავალებით.

3.გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია გამგებელმა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა შეამოწმოს მოწვეული აუდიტორის მეშვეობით.

მუხლი 8. დაწესებულების კონტროლი

1.დაწესებულების საქმიანობა ექვემდებარება კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტურობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას;

2.დაწესებულების კონტროლს ახორციელებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო (შესაბამისი კომისიების მეშვეობით) საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით" დადგენილი წესის შესაბამისად.

3. დაწესებულება ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის გამგებლის წინაშე.

4.დაწესებულება უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს მაკონტროლებელი ორგანოს ქმედება.

მუხლი 9. დაწესებულების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1.დაწესებულების რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამგებლის გადაწყვეტილებით და საკრებულოს თანხმობით.

2.Lლიკვიდაცია შეიძლება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

3.ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონების განკარგვა მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი

1.წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ, საკრებულოს თანხმობით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის შეუსაბამობის

შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

დანართი 3

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრის

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი1. ზოგადი დებულება

1.სპორტის განვითარების ცენტრი (შემდგომში ცენტრი) წარმოადგენს „ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურდიულ პირს, რომელიც დაკისრებულ ამოცანებს ახორციელებს სპორტული სკოლების, სპორტული კლუბების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების, სპორტული ბაზების მეშვეობით, რომლებიც მთლიანობაში წარმოადგენს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ერთიან სისტემას.

2.სპორტის განვითარების ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს. საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე.

3.სპორტის განვითარების ცენტრის იურდიული მისამართია დ. ჩოხატაური, ნ. დუმბაძის ქუჩა №54, ცენტრში საქმისწარმოება არის ქართულ ენაზე.

4.სპორტის განვითარების ცენტრის დამფუძნებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი.

5.სპორტის განვითარების ცენტრის ელექტრონული ფოსტა: **sportiscentri@yahoo.com**

მუხლი 2. ცენტრის მიზნი, ამოცანები და ძირითადი ფუნქციები

1. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარება, მუნიციპალიტეტში დარგის განვითარების ძირითადი მიმართულებების შემუშავება და განხორციელება.

2. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გაჯანსაღებისა და სპორტის განვითარების პროგრამის შემუშავება, დანერგვა და შესრულება.

3. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სპორტულ ნაგებობათა ეფექტიანი გამოყენება.

4.სპორტულ გამაჯანსაღებელი მუშაობისა და სპორტსმენთა სხვადასხვა სახის ჩემპიონატებისათვის მომზადების ორგანიზატორული და მეთოდური ხელმძღვალელობა.

5.სპორტის განვითარების პერსპექტიული გეგმის შემუშავება.

6.სახელმწიფო და არასახელმწიფო სპორტულ ორგანიზაციებთან, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან და საქართველოს სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა ეროვნულ კომიტეტთან თანამშრომლობა.

7.მუნიციპალიტეტის მასობრივ გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებების წლიური ერთიანი კალენდარული გეგმის შემუშავება და დამტკიცება.

8.სპორტის ეროვნული სახეობების დანერგვა ცხენბურთი, ისინდი, ლელო, ქართული ჭიდაობა, ლახტი და სხვა შესაბამის სახეობაში მწვრთნელების მოწვევა და საქმიანობის წარმართვისათვის ხელის შეწყობა.

9.სპორტულ საზოგადობებთან, უწყებებთან და წარმოება დაწესებულებებებთან ერთად სპორტული რეზერვის მომზადების სისტემის სრულყოფა, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა სპორტული სკოლების განვითარების კორდინაცია. კომპეტეციის ფარგლებში სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ორგანიზაციული საკითხების კონტროლი.

10. დადგენილი წესით ზემდგომ ინსტანციებში სპორტის სფეროში საპატიო წოდებების მისანიჭებლად მასალების წარდგენა. მუნიციპალიტეტის სპორტული მუშაკების სპორტული ნიშნებით, სიგელებით, დიპლომებით, პრიზებით და ფულადი პრემიებით დაჯილდოვება.

11.მუნიციპალიტეტში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარებისათვის საჭირო სპორტული ნაგებობების ტექნიკური ნორმებისა და ნორმატივების დაცვის, მშენებლობის, კაპიტალური შეკეთების, ინვეტარიზაციის საკითხების კორდინაცია, სპორტნაგებობათა ექსპლუატაციის წესების განსაზღვრა, რომლის შესრულება სავალდებულოა როგორც სპორტული ორგანიზაციების, ასევე წარმოება-დაწესებულებათა სპორტული ბაზებისა და ნაგებობებისათვის, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

12.განათლებისა და ჯამრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოთა ხელმძღვანელობასთან ერთად სპორტული და გამაჯანსაღებელი მასობრივი პროფილის სპეციალისტებზე მოთხოვნილებათა შესწავლა და მათ დაკომპლექტებისათვის საჭირო სამუშაოთა ორგანიზაცია.

13. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პროპაგანდა.

მუხლი 3. ცენტრის უფლება-მოვალეობა

1.ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში ხელი შეუწყოს საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების შესრულებას.:

2.სპორტის სფეროში ერთიანი პოლიტიკის გასატარებლად სპორტული ფედერაციების, საზოგადოებების, ასოციაციების, სპორტსკოლების, კლუბების, სპორტული კავშირების და სხვა სპორტულ—გამაჯანსაღებელი გაერთიანებების საქმიანობის კორდინაცია და საერთო ხელმძღვანელობა.

3. „სკოლისგარეშე გამაჯანსაღებელი და სპორტული ორგანიზაციების საქმიანობის კორდინაცია

მუხლი 4. ცენტრის მართვა

1.ცენტრს მართავს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

2.ცენტრის დირექტორი:

ა) სპორტის განვითარების ცენტრის დირექტორი ორგანიზებას უწევს ცენტრის საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებისა და მიზანშეწონილობაზე..

ბ) წარმოადგენს ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში.

გ) განკარგავს თანხებს დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით.

დ) ამტკიცებს ცენტრის ბიუჯეტსა და შინაგანაწესს.

ე) მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთახმებით ამტკიცებს ცენტრის საშტატო განრიგსა და ხელფასის ფონდს.

ვ) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ცენტრის თანამშრომლებს „ საქართველოს შრონის კოდექსით" დადგენილი წესით აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს თანაშრომლებთან და საჭიროებისამებრ დროებით მოწვეულ სპეციალისტებთან.

ზ) პასუხს აგებს ცენტრის საკუთრებაში არსებული ქონებისა და ფინანსების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-პატრონობასა და რაციონალურად გამოყენებაზე;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას".

მუხლი 5. ცენტრის ქონება

სპორტის განვითარების ცენტრს მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების. განსახორციელებლად გააჩნია სახელმწიფო ქონება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. ცენტრის დაფინანსება

1.სპორტის განვითარების ცენტრის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება:

ა) ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდით.

ბ)შემოწირულობები და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2. სპორტის განვითარების ცენტრი ვალდებულია კანომდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიური საქმიანობის აღრიცხვა- ანგარიშგება და შეადგინოს ბალანსი.

3. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას ამოწმებს გამგეობის შიდა აუდიტის სამსახური მუნიციპალიტეტის გამგებლის დავალებით.

4. გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია გამგებელმა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა შეამოწმოს მოწვეული აუდიტორის მეშვეობით.

მუხლი 7. სპორტის განვითარების ცენტრის კონტროლი

1. კონტროლი გულისხმობს ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

2. ცენტრის კონტროლს ახორციელებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო (შესაბამისი კომისიების მეშვეობით) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით" დადგენილი წესის შესაბამისად.

3. ცენტრი ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის გამგებლის წინაშე.

4. ცენტრი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს მაკონტროლებელი ორგანოს უკანონო მოქმედება.

მუხლი 8. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თახმობას

1.ცენტრს ჩოხატურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით შეუძლია განახორციელოს შემდეგი ქმედებები.

ა)უძრავი ქონების შეძენა;

ბ)სესხის აღება;

გ)თავდებობა;

დ)ცენტრის ქონებასთან დაკავშირებით სხვა გადაწყვეტილებები, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს"

მუხლი 9. სპორტის განვითარების ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. სპორტის განვითარების ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამგებლის გადაწყვეტილებითა და საკრებულოს თანხმობით.

2. ლიკვიდაცია შეიძლება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

3. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონების განკარგვა მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი

1.წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ, საკრებულოს თანხმობით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

დანართი 4

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურის `სხივი~

წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური `სხივი~ (შემდგომში სამსახური) შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-სა და ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის~ შესაბამისად.

2.სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს, ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის~, საქართველოს სხვა კანონებისა და კანონმქვემდებარე ნორმატიული აქტების და ამ წესდების მოთხოვნების გათვალისწინებით.

3.სამსახურს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, საანგარიშსწორებო ანგარიშები და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში და კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი სხვა რეკვიზიტები.

4.სამსახურის დამფუძნებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი.

5.სამსახურის ადგილსამყოფელია: დაბა ჩოხატაური, კოსტავას პირველი შესახვევი #11.

6.სამსახურის ელექტრონული ფოსტა: skhivi2012@yahoo.com

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის საფუძველი

სამსახური საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე უფლებამოსილია გამოიყენოს და დადგენილი წესით განკარგოს მასზე რიცხული ქონება და ფინანსური სახსრები, გადაწყვიტოს მის კომპეტენციაში შემავალი ყველა სხვა საკითხი.

მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

სამსახურის ფუნქციებია:

ა)სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა;

ბ)დასუფთავების სამუშაოების შესრულება;

გ)საქუჩო განათების მოვლა-პატრონობა, ექსპლუატაცია;

დ)ნაგავსაყრელთან მისასვლელი გზის კეთილმოწყობა.

ე)უზრუნველყოფს დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ამოღებას, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებიდან.“

ვ)მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანებისა და დეკორაციული სამუშაოების შესრულება;

ზ)მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულება.

მუხლი 4. სამსახურის უფლება-მოვალეობები

სამსახურის უფლება-მოვალეობებია:

ა)ხელი შეუწყოს საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებული ნორმატივების და სტანდარტების დაცვას.

ბ)მოცემულ ვადებში მიაწოდოს ინფორმაცია ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს, სამოქმედო ტერიტორიაზე მოსახლეობის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის და დაბის ტერიტორიის საქუჩო განათების მდგომარეობის შესახებ.

გ)უზრუნველყოს თავის სამოქმედო ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა, დაბის ტერიტორიის საქუჩო განათება და დასუფთავების მოსაკრებლის ამოღება, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებიდან“.

მუხლი 5. სამსახურის მართვა

1.სამსახურის საქმიანობას წარმართავს დირექტორი.

2.სამსახურის დირექტორს თანამდბობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

3.სამსახურის დირექტორი:

ა)წარმართავს და ორგანიზებას უწევს სამსახურის საერთო საქმიანობას. პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე.

ბ)მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით ამტკიცებს სამსახური საშტატო განრიგს და ხელფასის ფონდს.

გ)მინდობილობის გარეშე წარმოადგენს სამსახურს ყველა ინსტანციაში, გასცემს მინდობილობებს, დებს გარიგებებს.

დ)კანონით დადგენილი წესით განაგებს და განკარგავს სამსახურის ქონებას და სახსრებს, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა სამსახურის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივ და სწორ განაწილებაზე.

ე)თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს თანამშრომლებს, აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს თანამშრომლებსა და დროებით მოწვეულ სპეციალისტებთან.

ვ)იღებს გადაწყვეტილებებს თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ. განსაზღვრავს თანამშრომელთა დატვირთვისა და სახელფასო ანაზღაურების ოდენობას.

ზ)კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ ააქტებს.

თ)მუნიციპალიტეტის გამგებელს წარუდგენს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

მუხლი 6. სამსახურის დაფინანსება და ანგარიშგება

1.სამსახურის დაფინანსების წყაროებია:

ა)ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებანი;

ბ)ფასიანი მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი;

გ)საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2.ამ მუხლით განსაზღვრული სახსრები ხმარდება მხოლოდ სამსახურის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას. სახსრების სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია.

3.საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახური ვალდებულია აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი.

4.სამსახურის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას ამოწმებს გამგეობის შიდა აუდიტის სამსახური მუნიციპალიტეტის გამგებლის დავალებით.

5.გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია გამგებელმა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა შეამოწმოს მოწვეული აუდიტორის მეშვეობით.

მუხლი 7. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

სამსახურს მუნიციპალიტეტის გამგებლის თანხმობით შეუძლია განახორციელოს მხოლოდ შემდეგი ქმედებები:

ა)უძრავი ქონების შეძენა;

ბ)სესხის აღება;

გ)თავდებობა;

დ)სხვადასხვა გადაწყვეტილებები, სამსახურის ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 8. სამსახურის კონტროლი

1.სამსახურის კონტროლი გულისხმობს მის მიერ განხორცილებეული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტურობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

2.სამსახურის კონტროლს ახორციელებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო (შესაბამისი კომისიების მეშვეობით) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით" დადგენილი წესის შესაბამისად.

3.სამსახური ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის გამგებლის წინაშე.

4.სამსახური უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს მაკონტროლებელი ორგანოს უკანონო მოქმედება".

მუხლი 9. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1.სამსახურის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამგებლის გადაწყვეტილებით და საკრებულოს თანხმობით.

2. ლიკვიდაცია შეიძლება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

3.ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონების განკარგვა მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი

1.წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ, საკრებულოს თანხმობით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის შეუსაბამობის

შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

დანართი 5

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის
წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი (შემდგომში ,,კულტურის ცენტრი“) არის საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-სა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
2. ,,კულტურის ცენტრი“ თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე.
3. ,,კულტურის ცენტრს“ აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, საანგარიშსწორებო და სხვა სახის ანგარიშები საქართველოს საბანკო დაწესებულებაში და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
4. ,,კულტურის ცენტრის“ იურიდიული მისამართია: დ.ჩოხატაური, ნ.დუმბაძის ქუჩა №28.
5. ,,კულტურის ცენტრში“ საქმის წარმოება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.
6. ,,კულტურის ცენტრის“ დამფუძნებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი.
7. ,,კულტურის ცენტრის“ ელექტრონული ფოსტა: kulturis-centri@mail.ru;

მუხლი2. კულტურის ცენტრის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. ,,კულტურის ცენტრის“ ძირითად მიზნებს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი მოღვაწეობის ხელშეწყობა, მათი დასვენების უზრუნველყოფა.
2. ხალხური ხელოვნების ყველა დარგის განვითარების ხელშეწყობა, ნიმუშის მოძიება- აღრიცხვა, ხალხური რეწვის (ხელოსნობის) მივიწყებული ტრადიციული დარგების აღორძინება და პოპულარიზაცია.
3. ხალხური მთქმელების, ნიჭიერი, ინდივიდუალური შემსრულებლების და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა; სამუსიკო, ქორეოგრაფიული და ზეპირსიტყვიერი ფოლკლორის ნიმუშების შეგროვების, შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის ობიექტური პირობების შექმნა, ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებებისა და თამაშობების ფიქსაცია, პოპულარიზაცია სხვადასხვა მიმართულებების მოყვარულთა გაერთიანებებისა და სხვა საკლუბო ფორმირებების ჩამოყალიბების და შემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფა.

4. გართობა და დასვენებისათვის სათანადო ბაზის შექმნა, არსებული პირობებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე მომსახურების ზონის (მოიცავს მთელ მუნიციპალიტეტს) მცხოვრებთა მოთხოვნილებებისა და ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება, როგორც ადგილზე, ასევე გასვლითი ღონისძიებებით.
5. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.
6. ცენტრში მიზანშეწონილია სხვადასხვა სახის მოყვარულთა გაერთიანებების, სახელოსნოების, მომსახურების ცენტრის, აუდიო-ვიდეო, ფოტოლაბორატორიის, კაფე-სალონის საინტერესო შეხვედრათა, ახალგაზრდა ინტელექტთა და სხვა შემეცნებითი გასართობი კლუბების, მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების ამსახველი მუზეუმის შექმნა.

მუხლი.3 კულტურის ცენტრის უფლება-მოვალეობანი

1. კულტურის ცენტრს თავისი მთავარი ამოცანის შესრულებისას, საქართველოს კანონმდებლობით უფლება აქვს:

ა) მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილება, რომელიც უზრუნველყოფს შემოქმედებით მოღვაწეობის თავისუფლებას შემოქმედებითი მიმართულებების არჩევაში.
ბ) ისარგებლოს თავის მიერ შექმნილი მხატვრული პროდუქციით.
გ) აწარმოოს მოლაპარაკებანი და დადოს გარიგებანი, აგრეთვე განახორციელოს სხვა იურიდიული ქმედებანი, როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებთან.
დ) განსაზღვროს ბილეთების, სხვა მის მიერ წარმოებული პროდუქციისა და მომსახურეობის ღირებულება.
ე) დადოს ხელშეკრულებები და შეიმუშაოს დამოუკიდებელი კულტურული პროგრამები.
ვ) ითანამშორმლოს სხვადასხვა საერთაშორისო და საქველმოქმედო ორგანიზაციებთან.
ზ) კულტურულ-საგანმანანთლებლო-სააღმზრდელო-შემოქმედებითი მომსახურება გაუწიოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.
თ) წარმათოს სამეურნეო და სხვა საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მაგრამ არსებითად არ უნდა გადავიდეს სამეწარმეოს საქმიანობაზე.
ი) მოაწყოს, თავად გამართოს და მონაწილეობა მიიღოს ფასიან და საქველმოქმედო ღონისძიებებში, მათ შორის: ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.
კ) დაადგინოს მატერიალური წახალისების ფორმები.

1. **,,კულტურის ცენტრი“ ვალდებულია:**

ა) წარმართოს თავისი საქმიანობა საქართველოს კონსტიტუციის ,,კულტურის შესახებ“ კანონის, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.
ბ) წარმართოს შრომითი ურთიერთობანი საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად.

გ) შეასრულოს დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები.
დ) უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის კულტურული მომსახურება.
ე) უზრუნველყოს სოციალურ-კულტურული ღონისძიებების გამართვა.
ვ) უზრუნველყოს ხალხური თვითშემოქმედების განვითარება და პოპულარიზაცია.
ზ) უზრუნველყოს წრეობრივი და მასობრივი მუშაობა და ამისათვის კლუბური გარემოს შექმნა.
თ) იზრუნოს მომუშავე კადრების კვალიფიკაციაზე.
ი) აწარმოოს კორდინირებული მუშაობა მუნიციპალიტეტში არსებულ შემოქმედებით, სასწავლო და სხვა ტიპის დაწესებულებებთან.
კ) მოამზადოს და ჩაატაროს სემინარები, კონფერენციები, საჩვენებელი ღონისძიებები.
ლ) იზრუნოს ახლებული ტექნოლოგიებისა და მუშაობის თანამედროვე ფორმების (შოუბიზნესი) დანერგვისა და რეალიზებისათვის.

მუხლი 4. კულტურის ცენტრის სტრუქტურა და მართვა

1. თავისი საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებიდან (ხალხური შემოქმედების, ფოლკლორის, ხალხური რეწვის, ზეპირსიტყვიერების ყველა სახეობის, საგანმანათლებლო-შემეცნებითი, სააღმზრდელო, კულტურული, საესტრადო, გასართობი, სოციალურ-კულტურული და მასობრივი ღონისძიებები) გამომდინარე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის სტრუქტურული ერთეულებია: სახალხო თეატრი, ფოლკლორული ანსამბლები, საესტრადო ჯგუფები, საგანმანათლებლო და ტექნიკური შემოქმედებითი წრეები, ხელოვნების მოყვარულთა გაერთიანებები, ინტელექტუალურ-შემეცნებითი კლუბები და სხვა.
2. კულტურის ცენტრის სტრუქტურული ერთეულები დაკისრებულ ფუნქციებს ახორციელებენ დამტკიცებული ინსტრუქციების საფუძველზე მათთვის დადგენილ კონპენტენციათა ფარგლებში, ერთმანეთთან კოორდინირებული მუშაობის გზით, ისინი ანგარიშვალდებულნი არიან კულტურის ცენტრის დირექტორის წინაშე.
3. კულტურის ცენტრს მართავს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის გამგებელი.
4. **კულტურის ცენტრის დირექტორი:**
   ა) დირექტორი წარმართავს კულტურის ცენტრის ორგანიზაციულ, ფინანსურ, სამეურნეო, ადმინისტრაციულ და კულტურულ-საგანმანათლებლო-შემოქმედებით საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობაზე.
   ბ) ,,კულტურის ცენტრის“ დირექტორი შეიმუშავებს და ამტკიცებს ,,კულტურის ცენტრის“ ბიუჯეტს და შინაგანაწესს, მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით ამტკიცებს ,,კულტურის ცენტრის“ საშტატო განრიგსა და ხელფასის ფონდს.
   გ) კულტურის ცენტრის დირექტორი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს თანამშრომლებს.

დ) თავისი კონპენტეციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს. იღებს გადაწყვეტილებებს თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.
ე) განიხილავს საჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს.
ვ) ამტკიცებს ,,კულტურის ცენტრის" სამუშაო გეგმებს.
ზ) განკარგავს თანხებს დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით.
თ) პასუხიმგებელია ,,კულტურის ცენტრის" საკუთრებაში არსებული ქონებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-პატრონობაზე, ფინანსური მიზნობრივ და სწორ ხარჯვაზე.
ი) უფლებამოსილია დადოს დარიგებები.
კ) წარმოადგენს ,,კულტურის ცენტრს" მესამე პირთან ურთიერთობაში.
ლ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესდებით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას.

მუხლი 5. კულტურის ცენტრის ქონება

კულტურის ცენტრს თავისი მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად გააჩნია ქონება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. კულტურის ცენტრის დაფინანსება

1. ,,კულტურის ცენტრის" დაფინანსების წყაროებია:
ა) ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებანი.
ბ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი.
გ) ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ხელშეკრულების საფუძველზე სამუშაოს შესრულებით, ფასიანი მომსახურების გაწევით და შემოქმედებითი შეკვეთების საქმიანობით მიღებული შემოსავალი.
დ) გრანტისა და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავალი.
ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი.
2) კულტურის ცენტრის სახსრების და შემოსავლების განკარგვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და მთლიანად ხმარდება მიზნებისა და ამოცანების შესრულებას. ცენტრის სახსრების გამოყენება სხვა მიზნებისათვის აკრძალულია.
3. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ,,კულტურის ცენტრი" ვალდებულია აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი.
4. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას ამოწმებს გამგეობის შიდა აუდიტის სამსახური მუნიციპალიტეტის გამგებლის დავალებით.

5. გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია გამგებელმა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა შეამოწმოს მოწვეული აუდიტორის მეშვეობით.

მუხლი7. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს დამფუძნებლის თანხმობას

,,კულტურის ცენტრს" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანხმობით შეუძლია განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა.

ბ) სესხის აღება.

გ) თავდებობა.

დ) ფასიანი მომსახურეობის თანხის განსაზღვრა.

ე) კულტურის ცენტრის ქონებასთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილებები, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 8. ,,კულტურის ცენტრის" კონტროლი

1. ,,კულტურის ცენტრის" კონტროლი გულისხმობს ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტურობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.
2. კონტროლს ახორციელებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო (შესაბამისი კომისიების მეშვეობით) საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით" დადგენილი წესის შესაბამისად.
3. ,,კულტურის ცენტრი" ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის გამგებლის წინაშე.
4. ,,კულტურის ცენტრი" უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს მაკონტროლებელი ორგანოს უკანონო მოქმედება.

მუხლი 9. კულტურის ცენტრის საქმიანობის შეჩერება, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. ,,კულტურის ცენტრის" რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამგებლის გადაწყვეტილებით და საკრებულოს თანხმობით.
2. ლიკვიდაცია შეიძლება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

3. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონების განკარგვა მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. კულტურის ცენტრის წესდებაში ცვლილებებისა და დამტკიცების შეტანის წესი

1. ,,კულტურის ცენტრის“ წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ, საკრებულოს თანხმობით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

დანართი 6

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირის

სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი – სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა (შემდგომში სკოლა) შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-სა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) სკოლისგარეშე კომპლექსური სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარეშე დამოუკიდებლად ახორციელებს სპორტულ-გამაჯანსაღებელ და პროფილურ-სპორტულ საქმიანობას.

2.სასპორტო სკოლა თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე.

3.სასპორტო სკოლას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებაში და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

4.სასპორტო სკოლა საკუთარი სახელით იძენს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და საკუთარი სახელით გამოდის მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში.

5.კომპლექსური სასპორტო სკოლის დამფუძნებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი.

6.სასპორტო სკოლის იურდიული მისამართია: დ. ჩოხატაური, დუმბაძის ქ. №45

7.სასპორტო სკოლის ელექტრონული ფოსტა: **baramidze–76@mail.ru**

მუხლი 2. სკოლის ძირითადი მიზნები და საქმიანობის საგანი

1.სასპორტო სკოლის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

ა)ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობით ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, სასპორტო სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება.

ბ)ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება.

გ)სკოლაში არსებული სპორტის სახეობების მიხედვით ნაკრები გუნდების კანდიდატების და სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული ჭაბუკი სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება.

დ)სასპორტო სკოლის მოსწავლეთათვის (სპორტსმენთათვის) შესაბამისი სპორტის სახეობათა მიხედვით მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა.

ე)თანამედროვე საწვრთნელი პროცესის დანერგვით საკუთარი სპორტულ ღონისძიებათა კალენდარის და დებულების შემუშავებითა და შესრულებით, სპორტული რეზერვების მომზადების ეფექტური სისტემის შექმნა.

ვ)მონაწილეობის მიღება კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს,სპორტის სახეობათა ფედერაციების და სხვა სპორტულ ორგანიზაცია-დაწესებულებათა მიერ ორგანიზებულ სპორტულ ღონისძიებებში, კვალიფიკაციის ამაღლების კურსებში და სემინარებში.

ზ)სკოლის მოსწავლეთათვის (სპორტსმენთათვის) სამედიცინო-დიაგნოსტიკური, სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცესების ორგანიზება.

თ)სასპორტო სკოლის თანამშრომელთა და სპორტსმენთა სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

2.თავისი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად სკოლა ეტაპობრივად ანხორციელებს სკოლისგარეშე სასპორტო-საწვრთნელ საქმიანობას სპორტის შესაბამის სახეობებში. სკოლა უფლებამოსილია ჩაატაროს წინა საშეჯიბრო მოსამზადებელი ამხანაგური თამაშები.

ა)პირველი (დაწყებითი) ეტაპის –საერთო ფიზიკური და დაწყებითი მომზადება მოიცავს:

ა.ა.მოძრავი სახალისო სპორტული თამაშობების შესწავლასა და მათში მონაწილეობის მიღებას.

ა.ბ.სპორტის საფუძველებისა და ეროვნული სპორტული მემკვიდრეობის გაცნობას.

ა.გ.ჯანსაღი ცხოვრების წესის აღქმასა და უნარ-ჩვევების გამომუშავებას, სპორტულ-პატრიოტული სულის ჩამოყალიბებას.

ა.დ.მოსწავლე-სპორტსმენის მომზადებას შესაბამისად შემდგომ საწვრთნელ ეტაპზე გადასასვლელად.

ბ)მეორე (საბაზო-საორიენტაციო) ეტაპის საწვრთნელი-სასპორტო საქმიანობა მოიცავს:

ბ.ა. პირველ (დაწყებით) ეტაპზე შეძენილი ცოდნისა და ფიზიკური ვარჯიშების სრულყოფასა და ფიზიკური კონდიციების ამაღლებას.

ბ.ბ. შესაბამისი უნარ-ჩვევების გაღრმავებას.

ბ.გ. სპორტის კონკრეტული სახეობის დაუფლებაზე ორიენტირებულ მომზადებასა და შესაბამის სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას.

ბ.დ. დამოუკიდებლად წრთვნის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

ბ.ე. მოსწავლის (სპორტსმენის) მომზადებას შემდგომი წრთვნის ეტაპზე გადასასვლელად.

გ) მესამე (საშუალო) ეტაპის – სპორტული დახელოვნებისა და სრულყოფის სასპორტო საქმიანობა მოიცავს:

გ.ა. წრთვნის პროცესის აქტივაზაციას.

გ.ბ. არჩეულ სპორტის სახეობაში შეძენილი სპორტული მომზადების სპორტული ცოდნისა და უნარჩვევების რეალიზებას.

გ.გ. სპორტულ შეჯიბრებებზე მაქსიმალურად მაღალი შედეგების ჩვენებას და უმაღლესი სპორტული შედეგების მისაღწევად მომზადებას.

გ.დ. მოსწავლეების (სპორტსმენების) მზადებას ეროვნული ნაკრები გუნდების წევრობის ან წევრობის კანდიდატებისათვის.

გ.ე. მოსწავლის (სპორტსმენის) მომზადებას შესაბამისად შემდგომი წრთვნის ეტაპზე გადასასვლელად.

3. სკოლის სასპორტო–საწვრთნელი პროცესის ძირითად ფორმას წარმოადგენს:

ა)ჯგუფური საწვრთნელი და თეორიული მეცადინოებები.

ბ)ინდივიდუალური წესით მეცადინეობები.

გ)საქართველოში სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში და სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებში მონაწილეობა.

4.სასპორტო მომზადებისა და უნარ-ჩვევების გამოვლენისა და კონტროლის ფორმებია: მიმდინარე ვარჯიშის შესრულება და პერიოდული სპორტული შეჯიბრებები, ნაჩვენები შედეგები და სხვა.

5.სასპორტო წვრთნის ეტაპის დასრულებისას და შესაბამისი მოთხოვნების შესრულების დაკმაყოფილებისას სკოლა დამთავრებულს ეძლევა შესაბამისი ცნობა

მუხლი 3. სკოლის მოსწავლეთა (სპორტსმენთა) უფლებამოსილებანი

1.სასპორტო სკოლის მოსწავლეები (სპორტსმენები) უფლებამოსილნი არიან:

ა)ისარგებლონ სკოლის სპორტული ბაზით, ინვენტარით და სხვა ძირითადი თუ დამხმარე ნაგებობებით.

ბ)მოითხოვონ მათ მიერ სკოლასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობების შესრულება.

2.სასპორტო სკოლის მოსწავლეები (სპორტსმენები) ვალდებულნი არიან შეასრულონ სასპორტო სკოლის წესდება, ხელშეკრულებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული პირობებით.

მუხლი 4. სკოლის სტრუქტურა

1.სკოლის სტრუქტურა მოიცავს დირექციას (დირექტორი და მისი მოადგილე), პედაგოგთა (მწვრთნელთა) საბჭოს და სპორტულ განყოფილებებს.

2.სკოლაში ახალი სპორტული განყოფილების გახსნა ხორციელდება შესაბამისი პედაგოგიური კადრებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 5. სასპორტო სკოლის მართვა

1.სასპორტო სკოლის საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ჩოხატაურის მუნიციპლაიტეტის გამგებელი.

2.სკოლის დირექტორი:

ა)წარმართავს და ორგანიზებას უწევს სკოლის საერთო და სასწავლო-სპორტულ საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე.

ბ)ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით ამტკიცებს სკოლის საშტატო განრიგს და ხელფასის ფონდს.

გ)მინდობილობის გარეშე წარმოადგენს სკოლას ყველა ინსტაციაში, გასცემს მინდობილობებს, დებს გარიგებებს.

დ) კანონით დადგენილი წესით განაგებს და განკარგავს სკოლის ქონებასა და სახსრებს. მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა სკოლის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე.

ე) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასპორტო სკოლის თანამშრომლებს. საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი წესით აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს თანამშრომლებთან და საჭიროებისამებრ დროებით მოწვეულ სპეციალისტებთან.

ვ)იღებს გადაწყვეტილებებს სკოლის თანამშრომელთა წახალისებისა და დისიპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ. განსაზღვრავს პედაგოგთათვის განაკვეთის დატვირთვის და სახელფასო ანაზღაურების ოდენობას.

ზ)კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, არსებული დაფინანსების ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან შეთანხმებით განსაზღვრავს მისაღები კონტიგენტის რაოდენობას, წყვეტს მოსწავლეების (სპორტსმენების) სკოლაში ჩარიცხვისა და გარიცხვის ან სხვა სპორტულ ორგანიზაციაში მათი გადაყვანის საკითხს.

თ)პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით შეიმუშავებს და ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს (შინაგანაწესში აისახება სასპორტო სკოლაში მოსწავლეთა მიღების წესი და საკონკურსო მოთხოვნები, ასევე გადმოყვანის პირობები, სპორტული წრთვნის კონკრეტული ეტაპისა და ვარჯიშის ხანგრძლივობა, კვირეული დატვირთვა, ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობა, სასპორტო სკოლაში შემსვლელთათვის აუცილებელი საბუთების ნუსხა (მათ შორის სამედიცინო ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ), მოსწავლის მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა და პირობები).

ი)ამტკიცებს სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო გეგმას. განსაზღვრავს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

კ)სკოლის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ პროექტს წინასწარ ათანხმებს პედაგოგიურ საბჭოსთან და დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის გამგებელს.

ლ მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით განსაზღვრავს ფასიანი სწავლების შემოღების საკითხსა და გადასახადის ოდენობას.

მ) წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს სხვა მოქმედებები.

3.სასპორტო სკოლის დირექტორის არყოფნის დროს მის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მოადგილე.

მუხლი 6. პედაგოგთა (მწვრთნელთა) საბჭოს ფუნქციები

1.სასპორტო სკოლის პედაგოგთა (მწვრთნელთა) საბჭოში შედის სკოლის ყველა პედაგოგი (მწვრთნელი).

2.პედაგოგთა (მწვრთნელთა) საბჭო:

ა)შესაბამის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ზოგადი მეთოდიკის და ეროვნული სასპორტო-საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარუდგენს დირექტორს სასპორტო სკოლის სასწავლო და სასპორტო-საწვრთნელ გეგმას.

ბ)მონაწილეობს წლის შედეგების განხილვაში.

გ)რეკომენდაციებს უწევს სასპორტო სკოლის პედაგოგებს (მწვრთნელებს) მათთვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

მუხლი 7. სასპორტო სკოლის ქონება და

საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

1.სასპორტო სკოლა დაკისრებული ფუნქციებს ასრულებს სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული ქონების ბაზაზე, რომელიც მის ბალანსზე არსებულ სხვა ქონებასთან ერთად გამოიყენება მხოლოდ ამ წესდებით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.

2.სასპორტო სკოლის დაფინანსების წყაროებია:

ა)შესაბამისი (ადგილობრივი) ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებანი.

ბ)სპორტულ-მასობრივი ღონისძიებების ჩატარებიდან მიღებული შემოსავლები.

გ)ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული შემოსავალი.

დ)საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შემოსავლები კანონმდებლობის შესაბამისად მთლიანად ხმარდება მხოლოდ სკოლის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას და მათი გამოყენება სხვა მიზნით დაუშვებელია.

მუხლი 8. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

სასპორტო სკოლა უფლებამოსილია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანხმობით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა)უძრავი ქონების შეძენა და გასხვისება.

ბ)სესხის აღება.

გ)თავდებობა.

დ)სწავლის ქირის რაოდენობის განსაზღვრა.

ე)სხვა გადაწყვეტილებები სასპორტო სკოლის ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 9. სკოლის საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშება

1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სკოლა ვალდებულია აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი.

2.სკოლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას ამოწმებს გამგეობის შიდა აუდიტის სამსახური მუნიციპალიტეტის გამგებლის დავალებით.

3.გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია გამგებელმა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა შეამოწმოს მოწვეული აუდიტორის მეშვეობით.

მუხლი 10. სასპორტო სკოლის კონტროლი

1.სკოლის საქმიანობა ექვემდებარება კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტურობის და საფინანსო – ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

2. სკოლის კონტროლს ახორციელებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო (შესაბამისი კომისიების მეშვეობით) საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით" დადგენილი წესის შესაბამისად.

3. სკოლა ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის გამგებლის წინაშე.

4.სკოლა უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაასაჩივროს მაკონტროლებელი ორგანოს უკანონო მოქმედება.

მუხლი 11. სასპორტო სკოლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1.სასპორტო სკოლის რეორგანიზაციას და ლიკვიდაციას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით ახორციელებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი საკრებულოს თანხმობით.

2. ლიკვიდაცია შეიძლება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

3.ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონების განკარგვა მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. წესდებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის წესი

1.წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ, საკრებულოს თანხმობით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

დასკვნა

განკარგულების პროექტის თაობაზე

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54 – ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ბ" ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის გამგებლი საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას: კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ; სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნებაში მონაწილეობისა და მათში გაწევრების შესახებ.

პროექტი ასევე შეესაბამება ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმადაც საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული

განყოფილების უფროსის : *ბექა შენგელია*